12/08/2026

MES 1 26 0001016875

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.07.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:05
სხდომის დასრულების დრო: 14:00
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1) ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
2) ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3) ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4) ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5) პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6) მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7) მარინე რუხაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8) ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9) შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10) ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11) ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12) ინგა დიასამიძე - სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13) ავთანდილ თავხელიძე - სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის" (ლაბორატორია) დირექტორი;
14) მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
15) ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
16) თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი , პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;
17) თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
18) თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
19) ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20) გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
21) ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
22) თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
23) დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ქეთევან პავლიაშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. გიორგი ჭიჭინაძე - აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ბაია კოღუაშვილი - სამაგისტრო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია" ხელმძღვანელი;
3. თამთა თურმანიძე - სამაგისტრო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია" ხელმძღვანელი;
4. ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. მერაბ ჭუმბურიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. თეონა ხუფენია - რექტორი;
2. ქეთევან ლატარია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ნინო მაქაცარია - ფაკულტეტის დეკანი, ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მაია გონაშვილი - ტურიზმის საბაკალავრო და ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი;
5. ანა მაზმიშვილი - პროგრამების თანახელმძღვანელი;
6. დალი ბერანძე-ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. უნივერსიტეტის რექტორი ვახტანგ თაქთაქიძე;
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო მილაშვილი;
3. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი ცისკარა ზარანდია;
4. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანა ჯღარკავა;
5. "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ნიკოლოზ კვარაცხელია.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. თეა ჯუღელი - რექტორი;
2. რომეო გალდავა - რექტორის მოადგილე;
3. დევი შონია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. ლია ახალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
5. პროფესორი თამარ შინჯიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
6. პროფესორი ლალი ახალაძე - - პროგრამის ხელმძღვანელი;
7. დავით ზურაბაშვილი - პროფესორი;
8. ნანა გულუა - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. ლელა მირცხულავა პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
10. ანტონ ჩიქოვანი - ასოცირებული პროფესორი;
11. ნესტან კეკელია - ასოცირებული პროფესორი;
12. ნინო ლომიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. ნინო ჩხარტიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
14. დავით მაღრაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;

15. მარიამ ხომასურიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
16. მერაბ ნაჭყებია - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
17. თეიმურაზ გვანცელაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
18. მაია მირესაშვილი - პროფესორი;
19. მაკა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

კოსტას მანტზალოსი (Costas Mantzalos) (თავმჯდომარე) - III საკითხი
ნინო სილაგაძე - III, საკითხი
ნინო ტალიკაძე - III, IV და VII საკითხები
თამარ თხელიძე - III საკითხი
არმანდ ფაგანელი - Armand Fagane (თავმჯდომარე) – IV დაV საკითხები
ეკა ლეკაშვილი - IV დაV საკითხები
ნინო დევიძე - IV საკითხი
თამარი რაზმაძე - IV საკითხი
ეკა დევიძე - V საკითხი
თამთა ცხოვრებაძე - V, VI და VIII საკითხები
შალვა მხეიძე - V, VIII და IX საკითხები
მილანპოლ (Milan Pol) (თავმჯდომარე) - VI საკითხი
მაია ჩქოტუა - VI საკითხი
ირმა მესირიძე - VI საკითხი
ანა მიხელიძე - VI საკითხი
გულბახიტ სულთანოვა (Gulbakhyt Sultanova) (თავმჯდომარე)- VII საკითხი
ლია კურტანიძე - VII საკითხი
პაპუნა ქარჩავა - VII საკითხი
თამარ ხუციშვილი - VII საკითხი
ვალერიუ კაისინი Valeriu Caisîn (თავმჯდომარე) – VIII საკითხი
ლაშა ბოდაველი – VIII საკითხი
მანუჩარ მესხიძე – VIII საკითხი
აკაკი ჩალათაშვილი – VIII საკითხი
ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩი (Nihada Delibegović Džanić) (თავმჯდომარე)- IX საკითხი
ნინო პოპიაშვილი - IX საკითხი
ანა ჩუბინიძე - IX საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემლევან შავაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო და "ტურიზმის მენეჯმენტის (I და II ნაწილი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრო - ეკოტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია-დრონის ტექნოლოგიების და აგროსისტემების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო, „სატყეო საქმის" სამაგისტრო, „მევენახეობა და ენოლოგიის" საბაკალავრო, "მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შოთა ფოთოლაშვილმა საბჭოს გააცნო დაწესებულების შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა „ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის.

მეორე და მესამე შუამდგომლობა დააყენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა 2026 წლის 24 მარტის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

მესამე შუამდგომლობა ეხებოდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრო - ეკოტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის შეწყვეტას. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგიდან უნდა იყოს ამოღებული, რადგან, დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილია თხოვნა აღნიშნულ პროგრამაზე სააკრედიტაციო განაცხადის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2026 წლის 24 მარტის №323101 ოქმის მე-6 ნაწილში (შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა) ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
3. სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო და "ტურიზმის მენეჯმენტის (I და II ნაწილი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია-დრონის ტექნოლოგიების და აგროსისტემების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო, „სატყეო საქმის" სამაგისტრო, „მევენახეობა და ენოლოგიის" საბაკალავრო, "მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი

თვითაცილება განაცხადა - პეტრე ბაბილუამ, თამარ მერაბიშვილმა, მარიამ ხოფერიამ, ქეთევან აფთარაშვილმა, შალვა კელაპტრიშვილმა და მარინე რუხაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შოთა ფოთოლაშვილმა, საბჭოს გააცნო დაწესებულების შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა „ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხს.
აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრული იყო 2026 წლის 1 ივლისამდე. დაწესებულებამ 2026 წლის ივნისის ბოლოს წარმოადგინა შესაბამისი შუამდგომლობა ცენტრში, რომელიც გულისხმობდა, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლა გააგრძელონ „ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
თუმცა, იმ დროისთვის აკრედიტაციის საბჭო ჯერ არ იყო ფორმირებული, რის გამოც საკითხის განხილვა გადაიდო და ამ ეტაპზე იქნა წარმოდგენილი საბჭოსთვის.
დაწესებულება შუამდგომლობით მიმართავს აკრედიტაციის საბჭოს პროგრამის აკრედიტაციის ვადის 17 აგვისტომდე გაგრძელების თაობაზე, რათა „ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დაასრულონ პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2026 წლის 17 აგვისტომდე) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭებისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ევროპისმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 17 აგვისტომდე) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ.
საბჭოსმ დააკმაყოფილა დაწესებულების შუამდგომლობა და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 01 ივლისს.

მეორე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2026 წლის 24 მარტის №323101 ოქმის მე-6 ნაწილში (შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის

"სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა) ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა აღნიშნა, რომ შუამდგომლობა ეხება 2026 წლის 24 მარტის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის №323101 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, დღის წესრიგის მიხედვით, მე-6 საკითხად განიხილებოდა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში. ამ პროგრამასთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, პროგრამის სახელწოდების დაზუსტების შესახებ. დაწესებულებამ შეასრულა ექსპერტების რეკომენდაცია და პროგრამის სახელწოდებად განისაზღვრა - "ლოგისტიკა". თუმცა, ოქმში არის ტექნიკური ხარვეზი და მითითებულია პროგრამის ძველი სახელწოდება "სატრანსპორტო ლოგისტიკა".
აქედან გამომდინარე ცენტრი საბჭოს მიმართავს შუამდგომლობით, რომ ჩასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის აღნიშნული სახელწოდება, ისე როგორც ანგარიშში იყო წარმოდგენილი თავდაპირველად - „ლოგისტიკა".

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №323101 ოქმის მე-6 ნაწილში, კერძოდ:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება – „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ დაკორექტირდეს პროგრამის ახალი სახელწოდებით – „ლოგისტიკა“;
ბ) გადაწყვეტილების ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული."

მესამე საკითხი: სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნების ისტორია და თეორია
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0213 სახვითი ხელოვნება
კრედიტი - 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

თვითაცილება განაცხადა ფრიდონ გოგიაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მე-3 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
კოსტას მანტზალოსმა (Costas Mantzalos) აღნიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ გარემოში და მის ფარგლებში დადასტურდა დაწესებულების მხრიდან მაღალი აკადემიური პასუხისმგებლობა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ და თანასწორ გარემოს, გამოხატავს მზაობას პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიმართულებით უკვე გადადგმული აქვს შესაბამისი ნაბიჯები. აღინიშნა, რომ სრულად არის გათვალისწინებული ორი წლის წინ, აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები.
მიმდინარე აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში გაიცა რამდენიმე რჩევა, რომლებიც ძირითადად ეხება აქტიური სწავლების მიდგომების კიდევ უფრო ფართოდ გამოყენებას. ასევე, სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერებაზე, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გაზრდასა და საერთაშორისო ექსპერტების უშუალო მონაწილეობაზე პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხაა, რომ ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დამატებითი კომენტარი არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, შალვა კელაპტიშვილმა დაწესებულებას მიმართა კითხვით, თუ რატომ არ იყო განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დაშვების წინაპირობა.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, თამთა თურმანიძემ, აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე. მისი განმარტებით, სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ბოლო სემესტრში,

როდესაც სტუდენტს უკვე გავლილი აქვს ყველა ძირითადი სასწავლო კურსი. შალვა კელაპტიშვილმა დაწესებულებას ურჩია, აღნიშნული წინაპირობა პროგრამაში უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ აისახოს.
სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, გიორგი ჭიჭინაძემ დაამატა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო კურსების სრულად ათვისება.
საბჭოს წერმა, ქეთევან აფთარაშვილმა გააკეთა მცირე კომენტარი და აღნიშნა, რომ სამაგისტრო დებულებით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა და დადგენილია მინიმუმ 90 კრედიტის დაგროვების მოთხოვნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:28
დასრულების დრო: 11:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 31 დეკემბრამდე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

1. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რ ჩ ე ვ ე ბ ი .
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 10 ივლისიდან. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა დამტკიცდა უფრო გვიან, ვიდრე პროგრამა გაუვიდოდა აკრედიტაციის ვადა - 2026 წლის 10 ივლისს. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მე-4 საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო და "ტურიზმის მენეჯმენტის (I და II ნაწილი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ტურიზმი
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
კრედიტი - 185

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ტურიზმის მენეჯმენტი
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - I ნაწილი - ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში
დეტალური სფეროს კოდი - 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
კრედიტი - I ნაწილი 60 კრედიტი, II ნაწილი 60 კრედიტი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-4 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წერმა, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 მაისს და წარიმართა სრულიად კოლეგიალურ გარემოში. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მათი უმრავლესობა ყველა სტანდარტის ფარგლებში გაცემულ საკითხებს მოიცავს. ძირითადად, რეკომენდაციები ეხება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებას.
ასევე, აქცენტი გაკეთდა სწავლის შედეგების რუკის შემუშავებაზე, რომლის ფარგლებშიც უნდა განისაზღვროს შეფასების პერიოდულობა და პროცესში აქტიურად ჩაერთოს აკადემიური პერსონალი. რეკომენდაციები გაიცა სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრის საკითხზეც.

გარდა ამისა, რეკომენდაციები ეხება მატერიალურ რესურსებსა და სამაგისტრო პროგრამის კვლევით მიმართულებას. კერძოდ, რეკომენდებულია კვლევითი მიმართულების სასწავლო კურსის „რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები“ ჩანაცვლება სასწავლო კურსებით – „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია“ და „აკადემიური კომუნიკაცია“. ასევე, სასწავლო კურსებში „გლობალური ტურიზმის პოლიტიკა“ და „სტრატეგიული დიაგნოსტიკა“ საჭიროა ლიტერატურის განახლება.
ექსპერტების მხრიდან ასევე გამოითქვა მოსაზრებები ინოვაციურ მენეჯმენტთან, ხარისხის თეორიასა და მდგრადობის კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დასკვნაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია აკადემიური პერსონალის განვითარებაზე, ვინაიდან ტურიზმის მიმართულებით მნიშვნელოვანია მათი აკადემიური პროფილის გაძლიერება დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით. უნივერსიტეტის უკუკავშირში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტების პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 01 ივლისამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 01 ივლისამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან. რაზედაც, საბჭო დაეთანხმა.

მე-5 საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ტურიზმი
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-5 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

სხდომის თარჯიმანმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ჯგუფის თავმჯდომარის, არმანდ ფაგანელის (Armand Fagane), შემაჯამებელი პოზიცია. ჯგუფმა შეაფასა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეფასების პროცესი განხორციელდა თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში. ჯგუფის თითოეულმა წევრმა, საკუთარი გამოცდილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დასკვნითი პროექტის მომზადებაში. შეხვედრები ჩატარდა Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით და პროცესში ტექნიკური ხარვეზები არ გამოვლენილა. ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაესვათ კითხვები და განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად ჩართულიყვნენ დისკუსიებში. ცენტრის კოორდინატორმა უზრუნველყო პროფესიული და ეფექტიანი მხარდაჭერა. პროცესი კარგად იყო ორგანიზებული და შეუფერხებლად განხორციელდა.
დაწესებულების წარმომადგენლებმა შეფასების პროცესის მიმართ გამოავლინეს ღია, თანამშრომლობითი და კონსტრუქციული დამოკიდებულება. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები დადებითად იქნა მიღებული. საერთო ჯამში, შეფასების პროცესი ჩატარდა კოლეგიალურ გარემოში, რასაც ხელი შეუწყო ექსპერტების, ცენტრისა და დაწესებულების ეფექტიანმა თანამშრომლობამ.
ეკა ლეკაშვილმა დაამატა, რომ პროგრამის შემუშავება მოკლე ვადებში განხორციელდა, რის გამოც გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის, ეხება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას. ასევე, საჭიროა სტაჟირების ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამუშავება სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. რეკომენდაციები ასევე ეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდისა და განვითარების საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულება ეთანხმება დასკვნაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 01 ივლისამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან, რაზედაც საბჭო დაეთანხმა.

მე-6 საკითხი: სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სკოლამდელი განათლება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
კრედიტი - 195

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-6 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ჯგუფის თავმჯდომარემ მილან პოლმა (Milan Pol) აღნიშნა, რომ თავად ონლაინ რეჟიმში ესწრებოდა ვიზიტს, ხოლო ადგილობრივი ექსპერტები ადგილზე მონაწილეობდნენ შეფასების პროცესში. პროგრამა ახალია, თუმცა დაწესებულებას სკოლამდელი განათლების მიმართულებით პროგრამების განხორციელების ხანგრძლივი გამოცდილება აქვს.
პროგრამა მაღალი სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა 2020 წელს, თუმცა სკოლამდელი განათლების მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლის ცვლილების გამო მისი განხორციელება დროებით შეჩერდა. დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ პროგრამა ხელახლა იქნა წარმოდგენილი. პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ პარტნიორები, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორები პოლონეთიდან.
ექსპერტებმა იმუშავეს აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტზე. პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო დანარჩენი სტანდარტები – როგორც „სრულად შესაბამისი“. ჯგუფმა ჩამოაყალიბა ექვსი რეკომენდაცია და ოთხი რჩევა.
პირველი რეკომენდაცია ეხება პერსონალის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, რეკომენდაცია გაიცა პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობის შესახებ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.
ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია პრაქტიკული კომპონენტის გადახედვასთან დაკავშირებით, კერძოდ, 40 კრედიტის ფარგლებში განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის გაუმჯობესების მიმართულებით. შემდეგი რეკომენდაცია ეხება ინგლისური ენის სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.
ასევე, რეკომენდაცია გაიცა მემორანდუმების შინაარსობრივ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ექსპერტების შეფასებით, სასურველია, მემორანდუმები იყოს უფრო დეტალური და მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და სხვა შესაბამისი საკითხები.
ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სამიზნე ნიშნულების შემუშავებას. რაც შეეხება რჩევებს, ისინი დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა ახალი პერსონალის ადაპტაციის პროცესის გაუმჯობესება უნივერსიტეტში და გარე პერსონალისთვის სამეცნიერო ბაზებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
საბოლოო ჯამში, ექსპერტების შეფასება პროგრამის მიმართ პოზიტიურია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წერმა, ქეთევან აფთარაშვილმა სასწავლო პრაქტიკებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების პოზიციაში, ისე ექსპერტების დასკვნაში, ამ მიმართულებით მოაზრებულია 10 კრედიტის დამატება. თუმცა, დარგობრივ დოკუმენტში მითითებულია, რომ პრაქტიკის კომპონენტი კი არ უნდა იყოს 40 კრედიტი, არამედ პრაქტიკული სწავლება. შესაბამისად, მისი აზრით, საჭიროა პრაქტიკის კომპონენტის 16 კრედიტით გაზრდა.
ექსპერტმა, მაია ჩქოტუამ აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, საუბარია კრედიტების გაზრდაზე. დაწესებულებას მიაჩნდა, რომ რადგან პროგრამა 180-კრედიტიანი გახდა, პრაქტიკის კრედიტებიც შემცირდებოდა.
საბჭოს წერმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტში პრაქტიკა აღნიშნულია „P“-თი და შემდეგ მოცემულია მისი გაღრმავება, რაც გარკვეულწილად დამაბნეველია. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. სილაბუსში მითითებულია, რომ საბაკალავრო ნაშრომზე დაშვებისთვის აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სათანადო კრედიტების მოპოვება. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდა „სათანადო კრედიტები“.
დაწესებულენის წარმომადგენელმა, თამარ შინჯიაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ საკითხთან მიმართებით დაწესებულება ესაუბრა ექსპერტებს და განმარტა, რომ ვინაიდან 240-კრედიტიანი პროგრამა 180-კრედიტიან პროგრამად გარდაიქმნა, სწორედ ამიტომ შემცირდა პრაქტიკის კრედიტები, თუმცა აღნიშნული საკითხი დაწესებულებამ უკვე გამოასწორა. სასწავლო გეგმაში არსებულ წინაპირობებს დაწესებულება აუცილებლად დაამატებს. „სათანადო კრედიტები“ გულისხმობს სავალდებულო კრედიტების რაოდენობას, რომლებიც სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 01 სექტემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 სექტემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
2. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:
ა) 1.4 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, ოფიციალურად მოგვარდეს პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზი. ამისათვის შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის რესტრუქტურიზაცია, რათა იგი შეესაბამებოდეს სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმუმ 40 ECTS კრედიტს, ან მოთხოვნილ იქნას ოფიციალური განმარტება შესაბამისი ეროვნული უფლებამოსილი ორგანოსგან იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა აღნიშნული მოთხოვნა იმ პროგრამებზე, რომლებსაც შემცირებული აქვთ კრედიტების საერთო რაოდენობა. საკითხის საბოლოო გადაჭრამდე აღნიშნული ხარვეზი უნდა ჩაითვალოს მისი აღმოფხვრის აუცილებელ პირობად." - დაკორექტირდა შემდეგი სახით:
"რეკომენდებულია, ოფიციალურად მოგვარდეს პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზი. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს პროგრამის რესტრუქტურიზაცია და დაემატოს 16 ECTS პრაქტიკა, რათა იგი შეესაბამებოდეს სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმუმ 40 ECTS კრედიტს." აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია არც კომპონენტის და შესაბამისად არც მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
ბ) 1.5 კომპონენტში დაემატა შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა." აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან, რაზედაც, საბჭო დაეთანხმა.

მე-7 საკითხი: სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია-დრონის ტექნოლოგიების და აგროსისტემების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია - დრონის ტექნოლოგიები და აგროსისტემები
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0613 - კომპიუტერული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი,
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-7 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ჯგუფის თავმჯდომარემ გულბახიტ სულთანოვამ (Gulbakhyt Sultanova) აღნიშნა, რომ პროგრამა შეფასდა საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. განხორციელდა შეხვედრები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, შეფასდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ინტერნაციონალიზაციის მიმართულება და პროგრამის საერთო განზომილება. აღინიშნა, რომ პროგრამა ახალია და მასზე სტუდენტები ჯერ არ ირიცხებიან, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება ძირითადად მიმართული იყო პროგრამის სტრუქტურისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისკენ.
ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ, ხოლო თავად ჯგუფის თავმჯდომარე ონლაინ რეჟიმში მონაწილეობდა. გაიცა რეკომენდაციების სერია, რომლებიც უკავშირდებოდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერებასა და მათი მონაწილეობის სათანადო დოკუმენტირებას. რეკომენდაციები ასევე შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, სწავლის შედეგების შეფასებასა და პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. აღინიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში იკვეთებოდა ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც საჭიროებს გასწორებას. შემდგომი რეკომენდაციები შეეხებოდა სასწავლო რესურსებისა და სილაბუსების განახლებას, სასწავლო კურსების შინაარსის გადახედვას, სტუდენტების მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერებასა და დამატებითი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ, მთლიანობაში, პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული. სწავლის მიზნები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ასევე მატერიალური რესურსები, ზოგადად, აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მეორე – „შესაბამისი“, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები – როგორც „მეტწილად შესაბამისი“. საერთო ჯამში, პროგრამა შეფასდა დამაკმაყოფილებლად და, ექსპერტთა შეფასებით, გააჩნია წარმატებით განხორციელების პოტენციალი.
დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიგნებებს. ამასთან, ხაზგასმულია, რომ რეკომენდაციები ძირითადად პროგრამის სამომავლო განვითარებას ეხება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციები პირვანდელი სახით შეინარჩუნა, თუმცა მათი ფორმულირებები დააზუსტა, ვინაიდან პროგრამა ახალია და რეკომენდაციების შესრულება მისი შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ მისი პირველი კითხვა შეეხებოდა პროგრამის დანართი №1-ით განსაზღვრულ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას. კერძოდ, არჩევით სასწავლო კურსებს შორის მითითებულია სასწავლო კურსი „აგროსისტემებში დრონების გამოყენების სამართლებრივი რეგულირება და პოლიტიკა“. მას აინტერესებდა, აღნიშნული კურსი არჩევითი უნდა იყოს თუ სავალდებულო, ვინაიდან, მისი შეფასებით, პროგრამის კურსდამთავრებულს აღნიშნული საკითხები აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესწავლილი.

საერთაშორისო ექსპერტმა, გულბახიტ სულთანოვამ აღნიშნა, რომ, ვინაიდან პროგრამა ახალია, შესაძლებელია, აღნიშნული სასწავლო კურსი ამ ეტაპზე არჩევითი კურსების ბლოკში იყოს წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ლია კურტანიძემ, აღნიშნა, რომ პროგრამა კომპიუტერული მეცნიერებების კვალიფიკაციაზეა დაფუძნებული და შეესაბამება შესაბამის დარგობრივ სტანდარტს. მისი განმარტებით, სასწავლო კურსებში უკვე გათვალისწინებულია ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების საკითხები, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ არ ჩათვალა რეკომენდაციის გაცემა აღნიშნული კურსის არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო კურსების ბლოკში გადატანის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ორიენტირებულია კომპიუტერული მეცნიერებების კვალიფიკაციაზე და დამატებით ითვალისწინებს აგროსისტემებსა და აგრომიმართულებით დრონების გამოყენების სპეციფიკას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტს, თუმცა, როდესაც საქმე ეხება მსგავს სპეციფიკურ პროგრამას, მისი აზრით, საჭიროა გარკვეული საკითხების დარგობრივი მახასიათებლის ფარგლებს მიღმა გათვალისწინებაც.

საბჭოს თაცმჯდომარის მოადგილემ, ნინო ხოლუაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი მოიცავს მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, ეროვნულ და საერთაშორისო ნორმატიულ რეგულაციებს, ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

ექსპერტმა, ლია კურტანიძემ განმარტა, რომ მსგავსი ფუნდამენტური საკითხები განხილულია კიბერუსაფრთხოებისა და უსაფრთხოების სასწავლო კურსებშიც, ამიტომ აუცილებელი არ არის, აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო კურსების ბლოკში იყოს შეტანილი.

უსდ-ს წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ აუცილებელი სასწავლო კურსები მოცემულია სავალდებულო კურსების ბლოკში, ხოლო აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამაზე. მისი განცხადებით, დაწესებულება აღნიშნულ საკითხს აუცილებლად განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს 1.1 ქვეპუნქტში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რატომ შეფასდა აღნიშნული საკითხი რჩევად და არა რეკომენდაციად, ვინაიდან, მისი აზრით, ეს სპეციფიკური სფეროა და საჭიროებს მაღალკვალიფიციურ პერსონალს.

ექსპერტმა, ლია კურტანიძემ განმარტა, რომ აღნიშნული გამოწვევა სწორედ დარგის სიახლიდან გამომდინარეობდა და ამ მიმართულებით შესაბამისი პროფესიული კადრების მოძიება რთული იყო. ამასთან, ადგილზე არსებულ პერსონალს უკვე გავლილი ჰქონდა შესაბამისი გადამზადება და მიღებული ჰქონდა შესაბამისი სერტიფიკატები. მისი თქმით, დაწესებულება მომავალშიც გეგმავს მსგავსი ვორქშოფებისა და სხვა პროფესიული განვითარების აქტივობების განხორციელებას.
უსდ-ს წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ყოფილი აკადემიური პერსონალის ნაწილი უცხოეთში მოღვაწეობს და დაწესებულებას მათთან აქტიური კომუნიკაცია აქვს.
საბჭოს წერმა, შალვა კელაპტიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამაზე ინგლისური ენის სწავლება მხოლოდ პირველ კურსზე. ასევე, დაინტერესდა, რა პრინციპით შედგა სწავლის შედეგების რუკა, ვინაიდან სასწავლო კურსების დაახლოებით 90% მიმართულია შედეგების გაცნობაზე და მხოლოდ 10% – მათ გაღრმავებასა და განმტკიცებაზე. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს, რაც გარკვეულ კითხვებს აჩენს.
უსდ-ს რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით შესაძლოა არსებობდეს გარკვეული ხარვეზები, ვინაიდან პროგრამა ახალია და მომავალში ცვლილებებს დაექვემდებარება.
საბჭოს წერმს, მაია ბარბაქაძეს აინტერესებდა, რატომ მიეკუთვნება აღნიშნული პროგრამა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებას. მისი შეფასებით, დრონი წარმოადგენს მანქანა-დანადგარს, რომელიც უფრო მეტად მიეკუთვნება მექანიკისა და მეგატრონიკის სფეროს, რადგან ის უპილოტო საფრენი აპარატია. შესაბამისად, მისთვის გაურკვეველი იყო, რატომ განეკუთვნება პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებს.
უსდ-ს წარმომადგენემა, რომეო გალდავამ განმარტა, რომ დაწესებულებას არ აქვს პრეტენზია იმ საკითხებზე, რომლებზეც მაია ბარბაქაძემ გაამახვილა ყურადღება, ვინაიდან ეს არ წარმოადგენს მათი პროგრამის პროფილს. მისი თქმით, პროგრამა ორიენტირებულია პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაზე და არა დრონის კონსტრუქციის, საინჟინრო გადაწყვეტილებების ან ფრენის მექანიზმების შესწავლაზე. მიზანია პროგრამული უზრუნველყოფის მორგება დრონის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიმართულებით, და შესაბამისი პროგრამული პროდუქტების შექმნა.
საბჭოს წევრმა, მაია ბარბაქაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ დრონს პროგრამული მართვის ინსტრუქცია ისედაც თან ახლავს.
უსდ-ს წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ განმარტა, რომ საუბარია არა საბაზისო პროგრამულ უზრუნველყოფაზე, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე, კონკრეტული გამოყენების სფეროების საჭიროებების გათვალისწინებით.
ლელა მირცხალავამ აღნიშნა, რომ პროგრამული უზრუნველყოფა (ე.წ. *software*) ნებისმიერ ტექნოლოგიურ მოწყობილობას ახლავს, თუმცა, რადგან მოცემულ შემთხვევაში საუბარია დრონების სპეციფიკურ დანიშნულებაზე, აუცილებელია მათთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:10
დასრულების დრო: 13:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია-დრონის ტექნოლოგიების და აგროსისტემების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) 2 წლის თავზე მონიტორინგის განხოციელების პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$ “ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის 1 განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია-დრონის ტექნოლოგიების და აგროსისტემების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

1. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
2. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:
ა) 1.2 კომპონენტში დაემატა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა, გაცნობითი, განმამტკიცებელი და განმაღრმავებელი სასწავლო კურსების რელევანტურად იდენტიფიცირებისათვის." აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია არც კომპონენტის და შესაბამისად არც მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
ბ) 1.4 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, არჩევითი საგნებიდან სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს შემდეგი საგანი - "აგროსისტემებში დრონების გამოყენების სამართლებრივი რეგულირება და პოლიტიკა". აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და1.4 ქვე-სტანდარტი ნაცვლად"მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც"ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
გ) 4.1 კომპონენტში რჩევა გადავიდა რეკომენდაციაში: "რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, პროგრამის განხორციელების პროცესში საერთაშორისო აკადემიური რესურსებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივობების უფრო ფართო ინტეგრაციის გზით." აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 4.1 კომპონენტი ნაცვლად "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც"ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებამ გამოიწვია მთლიანად სტანდარტის შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტი ნაცვლად "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც"მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან, რაზედაც საბჭო დაეთანხმა.

მე-8 საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო, „სატყეო საქმის" სამაგისტრო, „მევენახეობა და ენოლოგიის" საბაკალავრო, "მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ,,მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სატყეო საქმე
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სატყეო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0821 - სატყეო საქმე
კრედიტი - 193

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სატყეო საქმე
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** - სატყეო საქმის მაგისტრი, **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი სატყეო საქმეში
დეტალური სფეროს კოდი - 0821 - სატყეო საქმე
კრედიტი - **I ნაწილი** 60 კრედიტი, II ნაწილი 60 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მევენახეობა და ენოლოგია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას
კრედიტი - 183

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მევენახეობა და ენოლოგია
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი, **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი მევენახეობასა და მეღვინეობაში.
დეტალური სფეროს კოდი - 0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას
კრედიტი - 6**I ნაწილი** 60 კრედიტი, II ნაწილი 60 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მევენახეობა და მეღვინეობა
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი, **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი მევენახეობასა და მეღვინეობაში.

დეტალური სფეროს კოდი - 0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას
კრედიტი - I ნაწილი 60 კრედიტი, II ნაწილი 60 კრედიტი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს სხდომა დატოვა თეა ნარეკლიშვილმა.

მე-8 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ – ვალერიუ კაისინმა (Valeriu Caisîn) აღნიშნა, რომ შეფასდა კლასტერში დაჯგუფებული 5 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის, 2 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო პროგრამა. ექსპერტებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ხელი შეეწყოთ პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ამ მიზნით გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები.
დასკვნითი პროექტის წარდგენის შემდეგ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ჩანს, რომ ნაწილობრივ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ექსპერტთა საბოლოო შეფასება დადებითია და პროგრამები აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებიან ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და დამატებითი მოსაზრებები არ გააჩნიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, შალვა კელაპტიშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის „მევენახეობა-მეღვინეობის" განმახორციელებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ოთხი უცხო ენის პედაგოგი, თუმცა თავად პროგრამაში აღნიშნული სასწავლო კურსების გასწვრივ,

ფრჩხილებში, მითითებულია მხოლოდ ინგლისური ენა. მას აინტერესებდა, რეალურად რამდენ ენაზე ხორციელდება სწავლება, მაგისტრანტები ერთ ენაზე სწავლობენ თუ ოთხივე ენა აქვთ შეთავაზებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული. მაგისტრანტებისთვის შეთავაზებულია ოთხივე ენა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:30
დასრულების დრო: 13:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობა და ენოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობა და ენოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობა და ენოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან.

მე-9 საკითხი: სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურა
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
კრედიტი - 198

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს სხდომა დატოვა თამარ მერაბიშვილმა.

მე-9 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ჯგუფის თავმჯდომარემ – ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩმა (Nihada Delibegović Džanić) აღნიშნა, რომ 13 მაისს განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი, რომელშიც თავად ონლაინ რეჟიმში მონაწილეობდა. დასკვნის პროექტი გადაეგზავნა უნივერსიტეტს, რომელმაც წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ უკვე გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.
უნივერსიტეტმა გააუმჯობესა პროგრამა და მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის სახელწოდების ცვლილების მიმართულებით. ასევე, ინერგება სტუდენტებისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის უზრუნველყოფის მექანიზმები.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს ინდივიდუალური უკუკავშირის მექანიზმი, თუმცა ის საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. ასევე, ხაზი გაესვა უნივერსიტეტის ღია და თანამშრომლობით მიდგომას აკრედიტაციის პროცესის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წერმა, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით: „რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო ენის კურსის შინაარსში, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართული ენის საკითხებთან ერთად, აისახოს აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე აფხაზური ენის საკითხებიც“.
უსდ-ს წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა სახელმწიფო ენის სპეციალურ სასწავლო კურსს, რომელიც უნივერსიტეტის მასშტაბით ყველა საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება პირველ ან მეორე სემესტრში. აღნიშნული კურსი მოიცავს ქართული ენის საკითხებს, თუმცა აფხაზური ენის საკითხები მასში დამატებული არ იყო. მისი განმარტებით, აღნიშნულის საჭიროება განსაკუთრებით დგება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელდება.
ამასთან, მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საკითხი გარკვეული მოცულობით მაინც ჩაერთოს კურსში, ვინაიდან პროგრამა წარმოადგენს ქართულ-აფხაზური ფილოლოგიის პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:47
დასრულების დრო: 13:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 01 მაისამდე), 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული და აფხაზური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს

აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან, რაზედაც, საბჭომ განაცხადა თანხმობა.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე